ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ128. 128262035**

თარიღი:**22/07/2026**

განცხადების ნომერი: 1282620378-03
განცხადების თარიღი: 22/07/2026

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი
- საკადასტრო კოდი :22.30.01.769
- მისამართი :ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი სარფი, მე-7 ქუჩა N24ბ

განმცხადებელი-დამკვეთი :კობა ჭაღალიძე
პირადი ნომერი :61010015407
მისამართი :შუახევი ს. ჭვანა

ნომენკლატურა :მშენებლობა და ურბანული განვითარება / მშენებლობის ნებართვა / საცხოვრებელი ობიექტები / მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი / ქმედება: ახალი მშენებლობა / კლასი: IV

სტადიები:
- მშენებლობის ნებართვა

დამკვეთის ინფორმაცია
- დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი :61006014606
- დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი :გურამ ჯიჯავაძე
- ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში) :შპს "გურუ ინვესტ"
- საიდენტიფიკაციო კოდი :445576341

შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები
- შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი :128. 128253141
- შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი :2025-11-11 00:00:00. 0

მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ

საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი''-ს 106 და-107 მუხლების; ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილების 25-ე, 25^{I} და 26-ე მუხლების, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და ხელვაჩაურის მერის 2025 11 ნოემბრის ბრძანების Nბ128. 128253141 შესაბამისად **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. კობა ჭაღალიძის (პ/ნ: 61010015407) 2026 წლის 22 ივლისის N1282620378-03 განცხადება დაკმაყოფილდეს და გაიცეს მშენებლობის ნებართვა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სარფში, შპს „გურუ ინვესტ“ის (ს/ნ 445576341) საკუთრებაში მდებარე 11493.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N: 22.30.01.769), საცხოვრებელი კომლექსის მშენებლობაზე.
2. მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადა განისაზღვროს: 2031 წლის 22

ივლისამდე.

3. „მშენებლობის ნებართვის გაცემის და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილების მე-20 მუხლის შესაბამისად განისაზღვროს მშენებლობის განხორციელების პროცესის სულ მცირე ორი რიგი:

I რიგი - მშენებლობის განხორციელების მოსამზადებელი სამუშაოები:

ა) მოსამზადებელი სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია სამშენებლო მოედნის მოწესრიგებასთან, მათ შორის, ამორტიზებული ან სხვა არსებული ნაგებობების დაშლასთან და სამშენებლო ნაგვის მოცილებასთან, შესანარჩუნებელი მწვანე ნარგავების დაცვასა და მიწისქვეშა საინჟინრო კომუნიკაციების გადატანასთან;

ბ) შენობა-ნაგებობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება;

გ) მიწის ნაკვეთის გრუნტის ზედაპირის ცვლილების შემთხვევაში გრუნტის შეცვლილი ზედაპირის შემდეგ შენობა-ნაგებობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება.

II რიგი - მშენებლობის განხორციელების ძირითადი სამუშაოები:

ა) შენობა-ნაგებობების მიწის სამუშაოები;

ბ) შენობა-ნაგებობების ფუძის მოწყობის სამუშაოები;

გ) შენობა-ნაგებობების საძირკვლის მოწყობის სამუშაოები;

დ) ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულამდე;

ე) შენობა-ნაგებობის ნულოვანი ნიშნულიდან მაქსიმუმ ყოველ 7.0 მეტრ სიმაღლეზე (სართულების შემთხვევაში – სართულების ჯერადად) ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა;

ვ) შენობა-ნაგებობების სახურავისა და გადახურვის მოწყობა;

ზ) არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა;

თ) შენობა-ნაგებობების ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა;

ი) ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი;

კ) შენობა-ნაგებობების გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები;

ლ) მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები.

4. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ფრიდონ ხალვაშის გამზირი N358), მისი დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაზა დიასამიძე

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი